

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის მიზანია შპს საქართველოს უნივერსიტეტის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება, კრიტიკული სიტუაციების და გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

ბიზნეს პროცესების გეგმა მიზნად ისახავს რისკების მართვის სისტემის შექმნას და ინციდენტებზე რეაგირების წესისა და გეგმის დადგენას. გეგმა მოიცავს პრევენციის ღონისძიებებს, რისკებისთვის მზადყოფნის შეფასებას, რისკებზე რეაგირებისა და რესკების გადაწყვეტის/მიყენებულ ზიანის აღდგენის ინსტრუქციას.

ბიზნეს პროცესების უწყვეტობისა და შესაბამისი გეგმის შედგენის მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს ღონისძიებებს:

- ადგენს რისკების ანალიზს;
- განსაზღვრავს მნიშვნელობას და იღებს გადაწყვეტილებას პრიორიტეტების მიხედვით;
- ადგენს და საზღვრავს კრიტიკულ შემთხვევაზე დაუყოვნებლივ რეაგირების ღონისძიებას;
- ადგენს ჩამონათვალს, რომელთა განხორციელება აუცილებელია ბიზნეს პროცესების უწყვეტ რეჟიმში წარმატების მიზნით;

უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს რისკების შეფასების პროცესს და ახდენს იმ ფაქტორების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბიზნეს საქმიანობაზე.

რისკების იდენტიფიცირების მიზნით უნივერსიტეტი იკვლევს;

- რა ფაქტორები მოახდენს ნეგატიურ გავლენას უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესებზე;
- რამდენად მნიშვნელოვანი იქნება რისკ-ფაქტორების გავლენა უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესებზე;

რისკების კატეგორიები:

- მატერიალურ ტექნიკური რესურსის განადგურება/დაზიანება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის მწყობრიდან გამოსვლა/დაზიანება;
- ფინანსური რესურსი
- დოკუმენტაციის დაზიანება/განადგურება

ბიზნეს პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები არიან რექტორის მიერ დამტკიცებული და განსაზღვრული ერთეულები, მისი ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია, რომელიც ვალდებულია ბიზნეს უწყვეტობის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. კომიდია ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.